ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №545623

ნომერი: AR1104853

თარიღი : 25.01.2013

გაცემის თარიღი : 14.02.2013

გაცნობის თარიღი : 15.02.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა I ხეივანი , II შესახვევი , (ნაკვ. 5/63) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემურ ფიფია პ/ნ 01026008690
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 79

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.09.2011წ. №01/2853 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 25 იანვრის №AR1104853 განცხადებით მომართა ჰანელორე მარია ტიოლკესას მინდობილმა პირმა თემურ ფიფიამ და მოითხოვა სამსახურის 23.09.2011წ. №01/2853 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გსაწორება, კერძოდ: საპროექტო შენობის მახასიათებლად III კლასის ნაცვლად II კლასის მითითება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2011 წლის 23 სექტემბერის №01/2853 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი–კრწანისი, ხეივნის პირველი და მეორე შესახვევში, მოქ. ჰანელორე მარია ტიოლკესა და თემურ ფიფიას კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №055/063) შეთანხმდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
აღნიშნულ საკითხზე თემურ ფიფიამ ერთხეულ უკვე მომართა სამსახურს, თუმცა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 22 სექტემბრის №363203 ბრძანებით უარი ეთქვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებაზე.
მოქალაქე თემურ ფიფიას მიერ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 22 სექტემბრის №363203 ბრძანება გასაჩივრებულ იქნა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ქ. თბილისის მერიაში და ქ. თბილისის მერის 2013 წლის 14 იანვრის №39 განკარგულებით დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა: ბათილად იქნა ცნობილი სამსახურის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვინაიდან დადგინდა, რომ სამსახურის მიერ კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობში არასწორად იქნა შეყვანილი მანსარდისა და სხვენის სართული, შესაბამისად შეცდომით იქნა განსაზღვრული შენობა-ნაგებობის კლასი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 23.09.2011წ. №01/2853 ბრძანებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საპროექტო შენობის მახასიათებლად მიეთითოს – II კლასი.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლისა და ქ. თბილისის მერის 2013 წლის 14 იანვრის №39 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.09.2011წ. №01/2853 ბრძანებაში, კერძოდ: საპროექტო შენობის მახასიათებლად მიეთითოს – II კლასი.
2. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.09.2011წ. №01/2853 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.